ბელგრადში – სოლიდური მარაგით

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 24 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ოფკ” (ბელგრადი) 3:0 (2:0).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი (წერეთელი), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

“ოფკ”: ბოროტა, ვუკაშინოვიჩი (ჯუიჩი), სტოიანოვიჩი, ბოჟოვიჩი (კურბალია), მიტროვიჩი, კრეშიჩი, ტურუდია, ზეტცი, ბაშიჩი, ლუკიჩი, სტევანოვიჩი.

მსაჯი: ც. სტანოვი (ბულგარეთი).

ფეხბურთის ერთერთი კანონია. მეტოქეს უნდა იცნობდე ზედმიწევნით კარგად, იცოდე მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, მისი შემადგენლობა. უამისოდ ძალიან ძნელია თანაბარი კლასის გუნდთან ბრძოლა.

თბილისის „დინამო“ სულ ერთხელ შეხვედრია იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელს და ისიც დიდი ხნის უკან, 1946 წელს. ამიტომ საჭირო იყო ახალი, სრული ცნობების შეკრება უეფას თასზე ჩვენი გუნდის მეტოქის – ბელგრადის ოფკ–ს შესახებ . ეს დოსიე, მეტნაკლები სისავსით, შედგა.

ცნობილი გახდა, რომ ოფკ–ს თავისი სიძლიერის, მაღალი საბრძოლო თვისებების, ახალგაზრდული შემადგენლობის, კარგი სპორტული შედეგების გარდა გამოირჩევა განწყობილებით. „თუ გუნდმა მოინდომა, თუ იგი „ხასიათზეა“, მასთან ბრძოლა საქვეყნოდ განთქმულ კლუბებსაც უჭირთ“. ასე ახასიათებენ ოფკ–ს მიმომხილველები და სპეციალისტები. ამ აზრის საწინააღმდეგოდ ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან ოფკ–მ სწორად ასეთი განწყობის შედეგად დაამარცხა ამ ზაფხულში ესპანეთის ერთ–ერთ ტურნირში იქაური „გრანადა“ –3:2, შემდეგ ურუგვაის ცნობილი „პენიაროლი“ – 4:0, და პრიზი მოიპოვა. სულ ახლახან კი თავის ქვეყნის პირველობაში მწვავე ბრძოლის შემდეგ მოუგო იუგოსლავიის ჩემპიონს, განთქმულ „ცრვენა ზვევზდას“ – 2:1. სწორედ ამიტომ უწოდებენ ოფკ–ს „რომანტიკოსების გუნდს“. ცნობილი გახდა ისიც, რომ „რომანტიკოსებს“ სხვადასხვა მიზეზით სულ ახლახანს გამოეცალათ სამი წამყვანი მოთამაშე, ეროვნული ნაკრების წევრები – მცველი სტეპანოვიჩი, ცენტრალური თავდამსხმელი სანტრაჩი და მარჯვენა გარემარბი პეტკოვიჩი.

მთელი ამ ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფდა, რომ თბილისი „დინამოს“ ბელგრადელებთან უნდა ეთამაშა მხოლოდ შემტევი, მოიერიშე სტილით, პირველივე

წუთებიდან განევითარებინა მაქსიმალურად მაღალი ტემპი, დაუფლებოდა უპირატესობას, არ მიეცა მეტოქისთვის დაცვის ორგანიზების საშუალება და გაემარჯვა არა უბრალოდ, არამედ დიდი ანგარიშით, ბურთების სოლიდური მარაგით, რათა განმეორებითი მატჩისთვის, რომელიც ბელგრადში შედგება 7 ნოემბერს, გარკვეული გარანტია შეექმნა საერთო გამარჯვებისთვის. ამას ევროპის საკლუბო ტურნირების პირობები მოითხოვს.

ასეც მოხდა. პირველი წუთი არ იყო გასული, როცა გ. ნოდია მეკარესთან პირისპირ გავიდა ყიფიანისგან მიღებული ბურთით და ბოროტამ გაჭირვებით შეძლო ხიფათის მოგერიება. ტემპი, აზარტი დიდი სისწრაფე, დახვეწილი ტექნიკა, რაც ჩვენი დინამოელების უმთავრეს კოზირად მიგვაჩნდა ყოველთვის, სრული სიძლიერით გამოვლინდა. ყოველი რგოლის, ყოველი მოთამაშის მოქმედება მხოლოდ შეტევის იდეას და მოპირდაპირე კარის შტურმს ემსახურებოდა. აქტიურად თამაშობდნენ წინა ხაზზე ყიფიანი, გ. და ლ. ნოდიები, შუა მინდორში – ებრალიძე, ასათიანი, განსაკუთრებით კი მაჩაიძე, რომელიც ჩვენი აზრით, საუკეთესო იყო ამ მატჩში. „დინამოს“ მცველები ბურთის პირველი მიღებისთანავე არ აყოვნებდნენ და შორი გადაცემებით კვლავ და კვლავ იერიშზე გზავნიდნენ თავიანთ პარტნიორებს.

სტუმრები აშკარად ჩამორჩნენ ტემპში. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ შეეფერხებინათ დინამოელთა სისწრაფე, დიდი ძალებით იხევდნენ უკან და, უნდა ითქვას, არც უხეშობას ერიდებოდნენ. ლაპარაკია არა უხეში თამაშის სტილზე, საერთოდ, არამედ „მცირე ფოლის“ ტაქტიკაზე, რომელსაც მათ მიმართეს მდგომარეობის სახსნელად. ოფკ–ს კარზე კართან ზედიზედ იქმნებოდა კრიტიკული ვითარებანი. თბილისელებმა ორივე ფრთიდან ბევრი კუთხური მოაწოდეს, მეკარე ბოროტა, მცველები და ნახევარმცველები იშვიათად თუ აღწევდნენ საკუთარი საჯარო მოედნის „ტყვეობას“.

ასეთ შტურმს შედეგიც მოჰყვა: 26–ე წუთზე მაჩაიძე თავისი მორიგი რეიდი ცენტრში მიწოდებით დაამთავრა, აქ აშკარა შეცდომა დაუშვა ბოროტამ, რომელიც უდროოდ გამოვიდა კარიდან წინ და მეკარეს არ აპატიეს ეს შეცდომა: ყიფიანის მიერ თავით დარტყმული ბურთი ზუსტად ჩაეშვა ბადეში.

35–ე წუთზე ბელგრადელთა საჯარიმო მოედანზე წამით ღიად დარჩა გ. ნოდია, სწრაფად დაამუშავა და ოსტატურად დაარტყა კარის შორეულ კუთხეში.

ყველაფერი მიდიოდა ისე, როგორც საჭიროა, გეგმის შესაბამისად. ასევე უნდა წარმართულიყო თამაში შემდგომშიც, მაგრამ შესვენების შემდეგ, პირველი 15 წუთის მანძილზე, დინამოელებმა რატომღაც უკლეს ტემპს, შეანელეს იერიშები, დათმეს შუა მინდორი და ინიციატივამ ოფკ–ს მხარეს გადაინაცვლა. ბელგრადელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სწრაფი ტექნიკური გარემარბი სტევანოვიჩი, აგრეთვე გამთამაშებელი ფორვარდი ლუკიჩი, ცენტრალური თავდამსხმელი ბაშიჩი. „დინამოს“ მცველებმა და მეკარემ ერთობ რთული შეტევა გადაიტანეს და ცხადი შეიქნა, რომ თამაში ასე გაგრძელების შემთხვევაში უსიამოვნებას ვერ გადავურჩებოდით.

საბედნიეროდ, გუნდმა შეძლო ძალების მოკრება, კვლავ ათამაშდა ძველებური ტემპით და სისწრაფით. ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ დაცვაში თამაში არაა ჩვენი გუნდის სტიქია, როგორც კი ამოქმედდა დინამოელთა საიერიშო ძალები ყველაფერი რიგზე დადგა, "რომანტიკოსებს" კვლავ უკან მოუხდათ დახევა თავიანთი საჯარიმო მოედნისკენ, სადაც წამდაუწუმ იქმნებოდა სახიფათო მომენტი. ერთ–ერთი ასეთი მომენტი, მე–60 წუთზე, მესამე გოლითაც დამთავრდა: ძოძუაშვილმა მარჯვენა ფრთიდან მიაწოდა მარცხნივ, ლ. ნოდიამ ზუსტად ითამაშა და ახლოდან ძლიერად, ზუსტად დაარტყა –3:0.

თბილისის "დინამომ" უეფა–ს თასის პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი ბელგრადის ოფკ–სთან საუკეთესოდ ჩაატარა, ყოველმხრივ აჯობა მეტოქეს და იმ სოლიდური მარაგით გაიმარჯვა, რომელიც საკმარისი უნდა იყოს მერვედფინალში გასასვლელად.

ბ. ქორქია

ლელო 27 .10. 1973 წ.